შპს გეოგლობალ აკადემიის საანგარიშო წლების (სტრატეგიული განვითარების გეგმის 2019-2025) ანგარიში

ანგარიში შესრულებულია ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ

მისია :

განახორციელა საქართველოს სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო პროფილის საგანმანათლებლო პროგრამები და სხვადასხვა მიმართულების პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები, ხელი შეუწყო ქვეყნისა და ქვემო ქართლის რეგიონში კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებასა და დასაქმებას.

იზრუნა პროფესიული განათლების პოპულარიზაციაზე და ხელი შეუწყო მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას;

მოამზადა მაღალკვალიფიციური, ლიბერალური ღირებულებების საზოგადოების აქტიური წევრები, განუვითარა მათ პროფესიული უნარები და უზრუნველყო მათი კონკურენტუნარიანობა დასაქმების ბაზარზე.

შესაბამისად, შპს გეოგლობალ აკადემიამ მისია 2019 წლის შეასრულა:

განახორციელა სამედიცინო პროფილის საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამა - „ საექთნო საქმე“, საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო);

დაიმატა ახალი პროფესიული პროგრამები :

1.აღმზრდელი - მეხუთე დონე, კვალიფიკაცია - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში, სწავლების დეტალური სფეროს კოდი - 0112, ადგილების ზღვრული რაოდენობა 80 (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება 26/04/2023 MES 4 23 0000458584)

2. საფინანსო სერვისები - მესამე დონე, კვალიფიკაცია - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვსებში სწავლების დეტალური სფეროს კოდი - 0412, ადგილების ზღვრული რაოდენობა 40, (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება 26/04/2023 MES 5 23 0000458585)

3. საბაჟო საქმე - მეხუთე დონე, კვალიფიკაცია - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში, სწავლების დეტალური სფეროს კოდი - 1032, ადგილების ზღვრული რაოდენობა 50, (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება 13/09/2024 MES 9 24 0001123795);

4. ვეტერინარია - მეხუთე დონე, კვალიფიკაცია -უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში,სწავლების დეტალური სფეროს კოდი 0841, ადგილების ზღვრული რაოდენობა 50 (პროფესიული საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება 13/09/2024 MES 8 24 0001123794);

5. ინფორმაციის ტექნოლოგიები - მესამე დონე, კვალიფიკაცია - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში, სწავლების დეტალური სფეროს კოდი - 0612 , ადგილების ზღვრული რაოდენობა 40, (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება 26/04/2023 MES 0 23 0000458580)

ამასთან

ა) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (MES 9 23 0001302409 04/10/2023) შპს გეოგლობალ აკადემიას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ გაეზარდა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა ზღვრული რაოდენობა და განისაზღვრა 160-ით.

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (04/10/2023) შპს გეოგლობალ აკადემიას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“ გაეზარდა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა ზღვრული რაოდენობა და განისაზღვრა 160-ით.

გ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (MES 0 24 0001123796 13/09/2024) შპს გეოგლობალ აკადემიას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“ გაეზარდა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა ზღვრული რაოდენობა და განისაზღვრა 240-ით.

დ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (MES 7 24 0001123793 13/09/2024) შპს გეოგლობალ აკადემიას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო)“ გაეზარდა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა ზღვრული რაოდენობა და განისაზღვრა 114 -ით.

ე) 2022 წლის 2, 3 და 4 ნოემბერს კოლეჯში განხორციელდა გეგმიური სრული მონიტორინგი. მნიშვნელოვანია, რომ ხარვეზი არ დაფიქსირებულა და ექსპერტების მიერ გაიცა მხოლოდ განმავითარებელი რეკომენდაციები, რომელთა დიდი ნაწილი გაზიარებული იქნა კოლეჯის მიერ.

ხედვა

შპს „გეოგლობალ აკადემია “ 2025 წლისათვის არის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც სწავლების თანამედროვე მეთოდებით, საგანმანათლებლო პროგრამებითა და მრავალფეროვანი სერვისებით პასუხობს საქართველოსა და ქვემო ქართლის რეგიონის წინაშე არსებულ გამოწვევებს, ემსახურება სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას; ხელს უწყობს ადამიანურ ღირსებას, უნივერსალურ ადამიანურ უფლებებს და თავისუფლებას ყველასთვის განურჩევლად კაცის, ქალის, რასის, ფერის, რელიგიის და წარმომავლობისა.

აკადემიის ხედვა აისახა პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეში და სწავლების თანამედროვე მეთოდებით, საგანმანათლებლო პროგრამებითა და მრავალფეროვანი სერვისებით 2025 წლისთვის უკვე პასუხობს საქართველოსა და ქვემო ქართლის რეგიონის წინაშე არსებულ გამოწვევებს, ემსახურება სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას;

მიზანი

აკადემია უკვე უზრუნველყოფს საზოგადოებას მაღალ კვალიფიციური პროფესიული განათლებით, რაც ქვეყნის განვითარებისა და კეთილდღეობის საფუძველია.

ღირებულებები

აკადემია იცავს ეთიკის ნორმებს და საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს. გადასცემს თეორიულ ცოდნას და უნვითარებს პროფესიულ უნარჩვევებს პროფესიულ სტუდენტებს. აკადემიის პერსონალი უზიარებს ერთმანეთს გამოცდილებას, პროგრამების სწავლების ფორმა კოოპერაციულია. თანამშრომლობს კერძო სექტორთან და იზიარებს მთავრობის ხედვას პროფესიული განათლების შესახებ.

ძლიერი მხარეები

აკადემიამ გაიზიარა წარმატებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილება ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის, პერსონალის რეკრუტირების, საგანმანათლებლო პროგრამების სწავლების ორგანიზების, პროფესიულ სივრცეში ბიზნესთან კავშირების ჩამოყალიბების პროცესები. ასევე გამოყენებული იქნა დამფუძნებლების ძლიერი და პირდაპირი კავშირები სამედიცინო საზოგადოებასთან და სამედიცინო დაწესებულებებთან და სხვა პროფესიების წარმომადგენლებთან.

პროფესიულ განათლებაში განხორციელებული ინვესტიციები სასიკეთოდ აისახა აკადემიაზე პროფესიული განათლების განვითარების მიზნით; ამავე დროს აკადემიამ მოიზიდა კვალიფიციური პერსონალი და წარმატებით გაართვა თავი იმ სირთულეებს, რაც საწყის ეტაპზე შეხვდა აკადემიას.

განვითარების შესაძლებლობები

აკადემიამ მაქსიმალურად გამოიყენა ქვემო ქართლის თავისებურებები. ქვემო ქართლის მზარდმა მოსახლეობამ ხელს შეუწყო აკადემიაში პროფესიულ სტუდენტების მოზიდვის ფაქტორს, რეგიონში პროფესიული განათლების მოთხოვნა საკმაოდ დიდია. აკადემიას ღირსეულად გაუმკლავდა გამოწვევას - კოლეჯებს შორის მზარდი კონკურენციას.

2025 წლის 7 აგვისტოში კოლეჯს საფირმო სახელწოდება შეიცვალა, საფირმო სახელი „შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი“ შეიცვალა საფირმო სახელწოდებით შპს „გეოგლობალ აკადემიით“.

აცნობიერებს რა პასუხისმგებლობას ქვემო ქართლის რეგიონის, ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე, აკადემიის მიზნები:

ა) საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესების მუდმივი გაუმჯობესობა და უწყვეტი განვითარება -შესრულებულია

ბ) სტუდენტთა პროფესიული მომზადების უზრუნველყოფა და რეგიონალურ და ეროვნულ ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით მათი მხარდაჭერა - აკადემიის სტუდენტები კონკურენტუნარიანები არიან შრომის ბაზარზე;

გ) დასაქმების ბაზრზე მუდმივი დაკვირვება და ახალი პროფესიული პროგრამების დამატება და განხორციელება - შრომის ბაზარზე დაკვირვების შედეგად აკადემიამ დაიმატა 5 პროფესიული პროგრამა და ახორციელებს მათ;

დ) სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა - დანერგვის პროცესშია ელექტრონული სისტემა სასწავლო პროცესში;

ე) ეროვნული და საერთაშორისო სტუდენტის მობილობის ხელშეწყობა - აკადემია მხარდაჭერას უცხადებს მობილობით გადმოსულ სტუდენტებს. საერთაშორისო სტუდენტი მობილობით არ არა გვყავს;

ვ) პროფესიული სტუდენტებისათვის განვითარებისათვის მხარდაჭერა - აკადემია მხარს უჭერს სტუდენტებს პროფესიულ განვითარებაში და ამავე დროს ისინი მხარდაჭერილნი არიან კურიკულუმის მიღმა აქტივობებში;

ზ) ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა - ჩატარდა შიდა ტრენინგები პერსონალის განვითარების მიზნით. ამავე დროს პერსონალი ესწრებოდა ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენინგებს და უნარების სააგენტოს მიერ ჩატარებულ ტრენინგებს.

თ) პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და ზრდასრულთა განათლების ხელშეწყობა - აკადემია პოპულარიზაციას უწევს პროფესიულ განათლებას და ხელს უწყობს ზრდასრულთა განათლებას.

ი) კოლეჯის აღიარება პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეში -აკადემიას კარგად იცნობენ ქვემო ქართლის რეგიონში და თანამშრომლობს პროფესიული განათლების სივრცესთან.

აკადემიის პრიორიტეტებია: პროფესიული განათლების, პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების შეთავაზება და სწავლა/სწავლების კომპონენეტების განვითარება სხვადასხვა მიმართულებით. ქვემო ქართლის რეგიონსა და ქვეყნის მასშტაბით დასაქმების შრომის ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციისათვის ხელშეწყობა.

აკადემიის ადგილმდებარეობამ, ქვემო ქართლის საჭიროებებმა და რეგიონის მზარდმა მოსახლეობამ განსაზღვრა აკადემიის ზრდა და საქმიანობის სფერო - პროფესიული

სწავლებას ჯანდაცვის მიმართულებით საავტორიზაციო პერიოდში დაემატა შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიული პროგრამები.

სტრატეგიული მიზანი N1 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და დამსაქმებლებთან ურთიერთობების ჩამოყალიბება

1.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი გაუმჯობესება და საგანმანათლებლო პროცესის განვითარება - საგანმანათლებლო პროცესები მუდმივ გაუმჯობესებას ითხოვს. ფაქტია აკადემია გაიზარდა, პროფესიული სტუდენტები რეკომენდაციას უწევენ აპლიკანტებს, ჩააბარონ იქ, სადაც საგანმანათლებლო პროცესი და სტუდენტური სერვისები აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს.

1.2. ახალი პროფესიული პროგრამების შემუშავება და განხორციელება შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით - აკადემიამ საავტორიზაციო პროცესში 5 საგანმანათლებლო პროგრამა დაიმატა და ამავე დროს განხორციელდა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების ზრდა:

2020 წლის 28 აპრილს აკადემიას მიენიჭა ავტორიზაცია და უფლება განეხორციელებია პროფესიული პროგრამები:

1. საექთნო საქმე - სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 100
2. ფარმაცია (საფთიაქო) - სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 64

საანგარიშო პერიოდში აკადემიამ დაიმატა ახალი პროფესიული პროგრამები:

1. აღმზრდელი - მეხუთე დონე, კვალიფიკაცია - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში, სწავლების დეტალური სფეროს კოდი - 0112, ადგილების ზღვრული რაოდენობა 80 (*პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს* გადაწყვეტილება 26/04/2023 MES 4 23 0000458584)
2. საფინანსო სერვისები - მესამე დონე, კვალიფიკაცია - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვსებში სწავლების დეტალური სფეროს კოდი - 0412, ადგილების ზღვრული რაოდენობა 40, (*პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს* გადაწყვეტილება 26/04/2023 MES 5 23 0000458585)
3. საბაჟო საქმე - მეხუთე დონე, კვალიფიკაცია - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში, სწავლების დეტალური სფეროს კოდი - 1032, ადგილების ზღვრული რაოდენობა 50, (*პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს* გადაწყვეტილება 13/09/2024 MES 9 24 0001123795);
4. ვეტერინარია - მეხუთე დონე, კვალიფიკაცია -უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში,სწავლების დეტალური სფეროს კოდი 0841, ადგილების ზღვრული რაოდენობა 50 (*პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს* გადაწყვეტილება 13/09/2024 MES 8 24 0001123794);

5. ინფორმაციის ტექნოლოგიები - მესამე დონე, კვალიფიკაცია - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში, სწავლების დეტალური სფეროს კოდი - 0612 , ადგილების ზღვრული რაოდენობა 40, (*პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს* გადაწყვეტილება 26/04/2023 MES 0 23 0000458580)

ამასთან

ა) *პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს* გადაწყვეტილებით (MES 9 23 0001302409 04/10/2023) შპს გეოგლობალ აკადემიას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ გაეზარდა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა ზღვრული რაოდენობა და განისაზღვრა 160-ით.

ბ) *პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს* გადაწყვეტილებით (04/10/2023) შპს გეოგლობალ აკადემიას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“ გაეზარდა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა ზღვრული რაოდენობა და განისაზღვრა 160-ით.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (MES 0 24 0001123796 13/09/2024) შპს გეოგლობალ აკადემიას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“ გაეზარდა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა ზღვრული რაოდენობა და განისაზღვრა 240-ით.

გ) *პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს* გადაწყვეტილებით (MES 7 24 0001123793 13/09/2024) შპს გეოგლობალ აკადემიას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო)“ გაეზარდა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა ზღვრული რაოდენობა და განისაზღვრა 114 -ით.

საანგარიშო პერიოდში 2022 წლის 2, 3 და 4 ნოემბერს აკადემიაში განხორციელდა გეგმიური სრული მონიტორინგი. მნიშვნელოვანია, რომ ხარვეზი არ დაფიქსირებულა და ექსპერტების მიერ გაიცა მხოლოდ განმავითარებელი რეკომენდაციები, რომელთა დიდი ნაწილი გაზიარებული იქნა აკადემიის მიერ.

საანგარიშო პერიოდში შპს გეოგლობალ აკადემიამ დაიმატა ფართი ქალაქ ბოლნისში. ბოლნისის ფილიალის დამატება განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა:

1. რეგიონის მზარდი მოსახლეობა (წყარო - საქსტატის მონაცემები)
2. პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა - ბოლნისში არ არსებობს არც სახელმწიფო და არც კერძო პროფესიული კოლეჯი
3. ქ. მარნეულის სახელმწიფო (ერთი) კოლეჯის და სამი კერძო კოლეჯის პროფესიული სტუდენტების გარკვეული ნაწილი ბოლნისისა და დმანისის რაიონიდან დადიან;

4. ტრანსპორტის სიმცირე იწვევს ჩარიცხული სტუდენტების სტატუსის შეჩერებას.
5. შპს გეოგლობალ აკადემიის ბოლნისელი და დმანისელი პროფესიული სტუდენტების ნაწილს შეჩერებული აქვს სტატუსი.
6. დმანისი რაიონი გაცილებით ახლოა ბოლნისთან, ვიდრე მარნეულთან;
7. აკადემიამ მიიღო სახელმწიფოებრივი გადაწყვიტილება ბოლნისელ და დმანისელ პროფესიულ სტუდენტებს მოემსახუროს ადგილზე.
8. შპს გეოგლობალ აკადემია პირნათლად ასრულებს თავის მისიასა და ხედვას.

აკადემიის მისია - შპს „გეოგლობალ აკადემია“ არის მრავალპროფილური პროფესიული საგანმანათლებლო სივრცე. აკადემია ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას, პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას. ამზადებს პროფესიული უნარებით აღჭურვილ, მაღალკვალიფიციურ, სხვადასხვა მიმართულების მქონე სპეციალისტებს და ხელს უწყობს მათ დასაქმებას, რათა **თავიანთი წვლილი შეიტანონ ქვეყნისა და ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში.**

ხედვა - აკადემია 2031 წელს ეროვნულ საგანმანათლებლო სივრცეში აღიარებული და წარმატებული ხარისხიანი პროფესიული სწავლებისა და განვითარების კერაა, რომელიც საზოგადოებას სთავაზობს პროფესიული განათლების სერვისების ფართო სპექტრს, **პასუხობს ქვეყნისა და ქვემო ქართლის წინაშე არსებულ გამოწვევებს.**

ბოლნისში აკადემია გეგმავს განახორციელოს შემდეგი პროფესიული პროგრამები:

- საბაჟო საქმე - ადგილების ზღვრული რაოდენობა 80;
- აღმზრდელი - ადგილების ზღვრული რაოდენობა 80;
- ვეტერინარია - ადგილების ზღვრული რაოდენობა 80;
- საფინანსო სერვისები - ადგილების ზღვრული რაოდენობა 80.

აკადემიას პრიორიტეტად მიაჩნია: პროფესიული განათლების, პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების შეთავაზება და სწავლა/სწავლების კომპონენეტების განვითარება სხვადასხვა მიმართულებით. ქვემო ქართლის რეგიონსა და ქვეყნის მასშტაბით დასაქმების შრომის ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციისათვის ხელშეწყობა.

1.3. სასერტიფიკატო პროგრამების შემუშავება, განხორციელება - საანგარიშო პერიოდში აკადემიამ შეიმუშავა სასერტიფიკატო პროგრამები: არავერბალური კომუნიკაცია, წერისა ზეპირი პრეზენტაციების უნარი, ზოგადი მენეჯმენტი, პერსონალის მართვის აქტუალური საკითხები, შეფასების მექანიზმები.
1.4. სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა (სასწავლო პროცესში სტუდენტის აქტიური ჩართვა, საგანმანათლებლო რესურსებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება, შეფასების ობიექტური, სამართლიანი და გამჭვირვალე პროცედურების დანერგვა) - აკადემია ნერგავს

ელექტრონულ სისტემას საგანმანათლებლო პროცესში. სტუდენტებს საშუალება ექნებათ ეფექტურად გამოიყენონ საგანმანათლებლო რესურსები თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით. შეფასების სამართლიან და ობიექტურ შეფასებასს პირადად გაეცნობიან სისტემაში თავის პროფილზე.

სტრატეგიული მიზანი N2 - სტუდენტური სერვისების/ საქმიანი ურთიერთობების მუდმივი გაუმჯობესება

2.1.პროფესიული სტუდენტების მაქსიმალური მხარდაჭერა და საბიბლიოთეკო ფონდის განვითარება - საბიბლიოთეკო ფონდი ძირითადად ელექტრონული წიგნებითაა. ბიბლიოთეკის ფონდის განვითარება კვლავ აქტუალურია. აკადემია მხარს უჭერს პროფესიულ სტუდენტებს, რასაც ისინი სტუდენტური გამოკითხვებით ადასტურებენ.

2.2. პროფესიული სტუდენტებისათვის პროფორიენტაციის, კულტურული და შემეცნებითი ხასიათის, პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ღონისძიებათა ორგანიზება - მთელი რიგი ღონისძიებებია ჩატარებული პროფორიენტაციის, კულტურული და შემეცნებითი ხასიათის, პროფესიული განათლების პოპულარიზაციისათვის, რაც დასტურდება აკადემიის სოციალური ქსელებით და ვებგვერდით.

სტრატეგიული მიზანი N3 - პერსონალის კარიერული განვითარების მუდმივი გაუმჯობესება

3.1. პროფესიული მასწავლებლების პროფესიული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა - აკადემიის თითქმის ყველა პროფესიულმა მასწავლებელმა გაიარა აკადემიის მიერ ჩატარებული ტრენინგები შემდეგი მიმართულებით: არავერბალური კომუნიკაცია, წერისა ზეპირი პრეზენტაციების უნარი, შეფასების მექანიზმები. ასევე ესწრებოდნენ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და უნარების სააგენტოს მიერ ჩატარებულ დარგობრივ ტრენინგებს.

3.2. ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული ტრენინგების მხარდაჭერა

აკადემიის პერსონალმა გაიარა აკადემიის მიერ ჩატარებული ტრენინგები შემდეგი მიმართულებით: ზოგადი მენეჯმენტი, პერსონალის მართვის აქტუალური საკითხები. ასევე ესწრებოდნენ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და უნარების სააგენტოს მიერ ჩატარებულ ტრენინგებსა და კერძო კოლეჯების მიერ ჩატარებულ ტრენინგებს.

სტრატეგიული მიზანი N4 - ინფრასტრუქტურის მუდმივი გაუმჯობესება

4.1. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი ინფრასტრუქტურის და ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემოს განვითარება -

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემოა შექმნილი - მუშაობს ლიფტი, ადაპტირებულია ჰიგიენური კვანძი.

2020 წელს აკადემიაში დასაქმებული იყო 37 პირი, მათ შორის 12 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, პროფესიული მასწავლებელი -25. აკადემია ფუნქციონირებდა 762.04 კვ.მ. ფართზე.
საანგარიშო პერიოდში აკადემიაში დასაქმებულია 154 პირი, მათ შორის 30 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალია, პროფესიული მასწავლებელი კი 124 . აკადემიის საერთო ფართია 2744, 28 კვ.მ ფართია (ქ. მარნეული - 2420, 68 კვ.მ; ქ. ბოლნისი - 323, 6 კვ.მ).

4.2. პროფესიული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო, საბიბლიოთეკო და მატერიალური რესურსების განვითარებადი ღონისძიებების მხარდაჭერა - აკადემიის თანამედროვე ინფრასტრუქტურა სტუდენტებს უნვითარებს პროფესიულ უნარებს.

დასკვნა

მიუხედავად წარმატებული საანგარიშო პერიოდისა, აკადემიას აქვს სუსტი მხარეები:
სასწავლო პროცესში გამოყენებული სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები დასახვეწია და ვერიფიკაციის პროცესი სასურველია ტარდებოდეს სამ თვეში ერთხელ და მნიშვნელოვანი იქნება თუ ამ პროცესში აქტიურად ჩაერთვებიან კურსდამთავრებულები და გარე შეფასების ექსპერტები.
სასურველია თანამშრომელთა წახალისების მექანიზმის გააქტიურება და არაფორმალურ გარემოში მათთან კომუნიკაცია.
მნიშვნელოვანი საკითხია ხელფასების ზრდა და ადამიანური რესურსების შეფასების შედეგების საფუძველზე პრემიალური სისტემის ჩამოყალიბება შეძლებლობის ფარგლებში.
შპს გეოგლობალ აკადემიის ანგარიში გამოყენებული იქნება აკადემიის განვითარებისთვის 2026-2032 წლის აკადემიის განვითარების სტრატეგიულ გეგმაში.

შპს გეოგლობალ აკადემიის ფინანსური ანგარიში (2020 – 01.07. 2025)

2025 წლის ბიუჯეტი ნაჩვენებია 6 თვის 1 ივლისამდე.

		2020	2021	2022	2023	2024	2025
1	ნაშთი წლის დასაწყისში	9	53	1432	3	8003	38107
2	შემოსავლები	62519	203649	424870	640413	1300528	1232890
3	შემოსავალი-სესხი	67344	76185	429855	511974	2680528	
4	მთლიანი სახელფასო ფონდი	21690	129910	165606	254398	395438	270926

5	სახელფასო ფონდი (ადმინისტრაცია)	8459	50665	64586	99215	154221	105661
6	სახელფასო ფონდი (მასწავლებლები)	13231	79245	101020	155183	241217	165265
7	საშემოსავლო ხარჯი	3562	16435	48827	64977	110670	86595
8	საპენსიო ხარჯი	1315	4917	6805	9944	19015	17335
9	პროფესიული განვითარება	-		490	2893	3200	2000
10	პროგრამების დამატება (ავტორიზაცია)	-	815		23469	29268	525
11	პროფ.პროგ. აღჭურვილობა და სასწავლო მასალა	20	15698	31098	20609	13447	5691
12	წახალისება/პრემია	700	9400	14900	22100	32800	15000
13	ჰიგიენური საშუალები	1076	151	574	1020	1367	637
14	კომუნალური	694	2187	1863	9150	36260	15656
15	საკანცელარიო მასალები	1119	2474	3719	7269	5645	5032
16	აუდიტი(იურიდიული, ბუღალტრული)	1940	10010	9490	10610	10430	3000
17	იჯარა	2750	13635	13400	30200	80251	103590
18	დაცვა	5150	8144	8167	19270	22100	8990
19	საკომუნიკაციო მომს. (ინტერნეტი, eflow, საიტი, HR,ZOOM)	1658	2858	2430	3999	9224	6970
20	სტუდენტური აქტივობები	232	340	2310	3833	6925	3544
21	რეკლამა(ფლაერები, ბრენ.პროდუქცია,ბუკლეტები)	1050			4537	3616	4665
22	ძირითადი საშ.-საოფისე ინვენტარი	66722		7936	29655	77006	11495
23	საწვავი, ტრანსპორტი		450		900	2325	978
24	ბანკის მომსახურება	268	2151	470	621	21700	872
25	სესხი(ძირი+პროცენტი+გაცემა)	9191	37625	118640	48698	888792	607862
26	სარემონტო სამუშაოები	10004	20352	418699	571807		
27	სხვა(სამეურნეო, საოფისე, კომპ.რეესტრი, დაზღვევა,პერს. მონაც.დაცვა და სხვა)	677	304	732	3828	7612	4068
28	საწევრო-სკკა		600		600	750	1800

29	წილის შემ. (სამედიცინო დაწესებულება)					2173112	
30	დაზუსტებული წლიური ბიუჯეტი	281381	278455	856154	1144387	3950953	1177230